ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

# მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закфронта «Боец РККА» на грузинском языке

№ 119 (379) | კვირა, 7 ოქტომბერი | 1945 წ.

## გზა მშვიდობისა, მებრძოლო მეგობრებო!

ჩვენი ოლქის ნაწილებში, ისევე, როგორც მთელს წითელ არმიაში, დაიწყო პირადი შემადგენლობის მეორე რიგის დემობილიზაცია. მრავალი მეომარი, ღირსეულად შეასრულა რა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, გამარჯვებული უბრუნდება თავის მშობლიურ კერას, თავის მშობლიურ კოლმეურნეობას, ფაბრიკას, ოჯახს, შრომას.

უკანასკნელი დღეები არმიაში! უკანასკნელი დღეები მებრძოლ მეგობრებთან, რომლებთანაც განვლე ომის გრძელი და მძიმე გზა! რამდენი ამაღელვებელი და მგზნებარე აზრი წარმოიშობა ამ დღეებში, ამ დროს. და რაზეც არ უნდა ფიქრობდეს ჯარისკაცი, მისი აზრი მიმართულია სამშობლოსადმი, სტალინისადმი.

სტალინისათვის, სამშობლოსათვის მიდიოდი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სძლევდი სიძნელეებსა და გაჭირვებებს, მთელი შენი არსებით მიისწრაფოდი, რომ მოგეპოვა გამარჯვება. და სამშობლო მადლობით აღნიშნავს შენს გმირობას, ღირსეულ შეხვედრას გიმზადებს იგი. გარდა ჩვენი ქვეყნისა, სხვა რომელ ქვეყანაში ზრუნავს მთავრობა ასე მშობლიურად თვითეულ თავის ჯარისკაცისათვის? მეომარო, ერთხელ კიდევ გადაიკითხე კანონი დემობილიზაციის შესახებ. მასში ყველაფერია გათვალისწინებული: მატერიალური უზრუნველყოფა გზაში ნაწილიდან სახლამდე—უფასო კვება და მგზავრობა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სრული კომპლექტი, შეღავათები და უპირატესობანი, რომ შინ მისვლისთანავე მოეწყო სამუშაოზე, უზრუნველყო ოჯახი, დაიკავო შენი ადგილი დიად შემოქმედებითს შრომაში. ამ კანონის თვითეული მუხლი გამსჭვალულია სტალინური მზრუნველობით საბჭოთა ჯარისკაცისადმი.

უკანასკნელი დღეები არმიაში! უკან დარჩა ომის მძიმე წლები. ძნელი იყო გამარჯვების მოპოვება. მაგრამ მოიპოვეთ იგი. არაფერია იმაზე უფრო საამაყო, ვიდრე შეგნება იმისა, რომ შენ ჯარისკაცური შრომით სჭედდი ამ გამარჯვებას, იცავდი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

ტყუილად არ ჩაუვლია სამსახურს არმიაში. შენ ბევრი რამ ისწავლე, ბევრი რამ შეიძინე. მძაფრ ბრძოლებსა და მკაცრ ლაშქრობებში განმტკიცდა შენი ხასიათი, გამოიბრძმედა შენი ნებისყოფა, შენ ისწავლე დაბრკოლებათა დაძლევა, გახდი უფრო ძლიერი და გამოცდილი.

და ამ ღირსშესანიშნავ დღეებში არმიიდან შინ მიდიხარ. ეს ის დღეებია, როცა ჩვენი ქვეყანა მთელ თავის ძალებს ახმარს ომით მიყენებულ ჭრილობების მოშუშებას, როცა მთელი ჩვენი ხალხი იწყებს სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. შენ ბრუნდები შენს კოლმეურნეობაში, ფაბრიკაში, ქარხანაში, სკოლაში მძიმე ჯარისკაცური შრომის გამოცდილებით გამდიდრებული, გმირულ ლაშქრობათა დიდებით გაბრწყინებული. ბრუნდები, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი, გამარჯვებული არმიის წარმომადგენელი.

იყავი ღირსი ამ მაღალი და საპატიო წარმომადგენლობისა!

შემოქმედებითს შრომაში იყავი ისეთივე მამაცი, უშიშარი, დაუღალავი და ინიციატივიანი, როგორიც იყავი არმიაში. დაე, მძაფრ ბრძოლებში მოპოვებული მეომრული დიდება გამრავლდეს ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

უკანასკნელი დღეები არმიაში! ამაღელვებელია მშობლიურ პოლკთან, საყვარელ მეთაურებთან, თანამოლაშქრეებთან, საბრძოლო იარაღთან, შეჩვეულ ჯარისკაცურ ცხოვრებასთან განშორების წუთები. შენ ხედავ, თუ როგორი სიყვარულითა და მზრუნველობით გექცევიან თანამოლაშქრეები, სულგანაბულნი ისმენენ ყველა შენს უბრალო ჯარისკაცურ ნაამბობს ახალგაზრდა მეომრები, რომლებიც არმიაში მოვიდნენ იმისათვის, რომ დაიცვან სამშობლოს მშვიდობიანი შრომა. შენ გესმის მრავალი რჩევა-დარიგება, მეგობრული სურვილები. და ყველა ეს გაისმის, როგორც მგზნებარე მადლობა სამშობლოსათვის ერთგული სამსახურის გამო. ისინი მტკიცე ჯარისკაცურ მითითებებს გაძლევენ.

— არ დაივიწყო შენი პოლკი, მისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები! სადაც არ უნდა იყო—მშვიდობიანი შრომის ყველა უბანზე—იყავი ღირსი დიადი, გამარჯვებული არმიის მეომრის საპატიო სახელისა!

— გისურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას, წარმატებას მუშაობაში, ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებას!

— გზა მშვიდობისა, მებრძოლო მეგობარო!

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ

ომის დამთავრებასთან და სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებათა დამთავრებასთან დაკავშირებით, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 72 მუხლის საფუძველზე, რომელიც აწესებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ცხადდება არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ვადამდე, და რომ არჩევნები სწარმოებს არასამუშაო დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნოს კვირას 1946 წლის 10 თებერვალს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 5 ოქტომბერი.

## დამატებითი შეღავათები სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახებს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის, სამამულო ომის ინვალიდებისათვის, სამხედრო მოსამსახურეთა და დემობილიზებულთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათებისა და მატერიალური დახმარების შესახებ.

იმ ოჯახების მეურნეობებს, რომლებმაც მარჩენალნი სამამულო ომის ფრონტებზე დაჰკარგეს, და სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფების ინვალიდთა მეურნეობებს მოეხსნათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის, სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ჩაბარების დარგში წარსული წლების ყველა ნაშთები.

სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა შვილები და სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფების ინვალიდთა შვილები თავისუფლდებიან სწავლის ქირისაგან საშუალო სკოლების მე-8-10 კლასებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს 1946 წლის დამლევამდე ენახებათ წითელ არმიაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის გადასახადების, სავალდებულო ჩაბარებათა, ბინის ქირის და სხვა დარგში მინიჭებული ყველა შეღავათი.

სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფების ინვალიდთა მეურნეობებისათვის დაწესებულია მთელი რიგი დამატებითი შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა დარგში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ცენტრალურ კომუნალურ ბანკს დაავალა დაღუპულ მეომართა ოჯახებს, სამამულო ომის ინვალიდებსა და სამხედრო მოსამსახურეთა ხელმოკლე ოჯახებს მისცეს სესხი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და აღდგენისათვის 5-დან 10 ათას მანეთამდე გადახდის 5-დან 10 წლამდე ვადით. რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები ვალდებული არიან უფასოდ გამოუყონ მათ ტყესაკაფები სამშენებლო ხე-ტყის დასამზადებლად და დაწესებულ ფასებში მისცენ ადგილობრივი სამშენებლო მასალები ბინების ასაშენებლად ან რემონტისათვის.

რაიონულ აღმასკომებს მინიჭებული აქვთ უფლება 1945-1946 წელს 50 პროცენტამდე შეუმცირონ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სავსებით გაათავისუფლონ სახორც გადასახადისაგან დემობილიზებულები, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, სამამულო ომის ინვალიდები და დაღუპულ მეომართა ოჯახები, რომლებიც თავიანთი საჭიროებისათვის იმზადებენ სათბობს.

სახალხო კომისარიატები და უწყებები ვალდებული არიან ახლადაშენებულ და აღდგენილ სახლებში მთელი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი გადასცენ ადგილობრივი აღმასკომების განკარგულებაში, რომლებმაც ამ ფართობში აუცილებლად უნდა ჩაასახლონ მხოლოდ-მხოლოდ დემობილიზებულები, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, სამამულო ომის ინვალიდები და დაღუპულ მეომართა ოჯახები, რომლებსაც ესაჭიროებათ ბინა.

იმ საწარმოთა და დაწესებულებათა დირექტორები, რომლებსაც მუშათა მომარაგების განყოფილებები აქვთ, ვალდებული არიან მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების წევრების თანაბრად მოამარაგონ წინათ ამ საწარმოსა და დაწესებულებაში მომუშავე დაღუპულ მეომართა ოჯახების შრომისუნარმოკლებული წევრები, რომლებიც სახელმწიფოსაგან პენსიას იღებენ. (საქტასი).

## ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშაობა სექტემბერში

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა სექტემბერში ქვანახშირის მოპოვების გეგმა 107,6 პროცენტით შეასრულა. აგვისტოსთან შედარებით ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება 1,8 პროცენტით გაიზარდა. სანგრევი ხაზის წინწაწევის გეგმა სექტემბერში შესრულებულია 126,4 პროცენტით, ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა—125 პროცენტით.

ამავე დროს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა მნიშვნელოვნად შეამცირა ელექტროენერგიის ხარჯი. ქვანახშირის ნაცრიანობა ნორმასთან შედარებით საგრძნობლად არის შემცირებული. 104,4 პროცენტით შესრულებულია ქვანახშირის რკინიგზით ტრანსპორტირების გეგმა.

ეს წარმატებები ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა მოიპოვა მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის ამოღებაზე გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობასთან შედარებით სექტემბერში 70 კაცით ნაკლები მუშაობდა.

## მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე

„იზვესტია" ათავსებს „გლავტონელმეტროსტროის" უფროსის ამხ. სამოდუროვის სტატიას, რომელიც მიძღვნილია რკალური ხაზის—მეტროს მეოთხე რიგის მშენებლობისადმი. ეს ხაზი, რომელიც ახლა შენდება, გარს უვლის მოსკოვის ცენტრალურ ნაწილს და აერთებს შვიდ უმთავრეს ვაგზალს. მისი საერთო სიგრძე 20 კილომეტრამდე იქნება. ახალ ტრასზე აიგება 12 სადგური, რომელთაგან ექვსი იმ ადგილებში იქნება, სადაც რკალი მეტროს ამჟამად მოქმედ ხაზებს გადასჭრის. ეს სადგურები წინანდელი რიგების სადგურებთან შეერთებული იქნება მარჯვე მიწისქვეშა გადასასვლელებით. წინათ აგებულ 29 სადგურთან ერთად მოსკოვის მეტროპოლიტენს მეოთხე რიგის მშენებლობის დასასრულისათვის 41 სადგური ექნება. რკალური ხაზის გრუნტის ამოღება 2.300 ათას კუბურ მეტრს შეადგენს. ტიუბინგების ჩადგმას მაღალი სიზუსტის 536 ათასი თუჯის კონსტრუქციები დასჭირდება. ბეტონი საჭირო იქნება 375 ათასი კუბური მეტრი. ეს ციფრები წარმოდგენას გვაძლევს იმ მშენებლობის მოცულობაზე, რომელიც ომის წლებში დაიწყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამხანაგ სტალინის ინიციატივით.

— ეს გადაწყვეტილება, — სწერს ამხ. სამოდუროვი, — მოწმობდა არა მარტო ხალხის რწმენას მტერზე მომავალი გამარჯვებისადმი, არამედ აგრეთვე წარმოადგენდა დედაქალაქის მოსახლეობის საჭიროებათათვის პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებას. ამჟამად მოსკოვის მეტროპოლიტენს დღე-ღამეში 1.700 ათასი მგზავრი გადაჰყავს. რკალური ხაზის გახსნის შემდეგ იგი დღე-ღამეში გადაიყვანს 2.700 ათას მგზავრს.

# პარტიული და კომკავშირული აქტივის დახმარებით

ლეიტენანტ კორძაძის ქვეგანაყოფში ამ ბოლო დროს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი, განმტკიცდა მეომრული დისციპლინა.

ქვეგანაყოფის წარმატებებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ითამაშა პარტიულმა ორგანიზაციამ. პარტორგმა ზემდეგმა გ. სულამანიძემ პარტიული და კომკავშირული აქტივი დარაზმა იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებიც მეთაურმა დააყენა პირადი შემადგენლობის წინაშე.

კომუნისტებს ა. პაპავას, შ. ჯოხიძეს, ხ. დაჩიბერაძეს, კომკავშირელებს ა. ჰუბაბრიას, შ. ჯიქიას და გ. ორაგველიძეს, რომლებიც საბრძოლო მომზადების ფრიადოსნებად ითვლებიან, პარტორგმა დაავალა სადამოობით იმეცადინონ ჩამორჩენილ მებრძოლებთან, მოაწყონ დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევის, ნაღმსატყორცნის, ავტომატის მატერიალური ნაწილისა და დამიზნების შემსწავლელი წრეები იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც უკანასკნელად ჩატარებულ სროლებში ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი შეფასება.

გარდა ამისა, პარტორგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სააგიტაციო მუშაობის გაცხოველებას. მან ქვეგანაყოფის აგიტატორებს რამდენჯერმე ჩაუტარა ინსტრუქტაჟი. ურჩია, რომ საუბრების ჩატარებისას გამოიყენონ მნიშვნელოვანი ფაქტები ქვეგანაყოფის ცხოვრებიდან. სამეცადინო ველზე, შესვენების საათებში აგიტატორები ეწევიან მოწინავე ამხანაგების გამოცდილებათა პოპულარიზაციას, მათი მუშაობის მეთოდებს აცნობენ ამხანაგებს. ამავე დროს აკრიტიკებენ იმათ, რომლებიც არ იჩენენ მონდომებას სწავლაში, ცდილობენ იოლი გზით დასძლიონ ამოცანა, ნაკლები ოფლი დაღვარონ. რამდენჯერმე ჩატარდა საუბარი სამხედრო ფიცის შესახებ.

პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა აგრეთვე ქვეგანაყოფში დისციპლინის განმტკიცების საქმეს. პარტორგის დავალებით კომუნისტმა ა. პაპავამ და შ. ჯოხიძემ ჩაატარეს საუბარი თემაზე „მტკიცე, რკინისებური დისციპლინა საბრძოლო და პოლიტმომზადებაში წარმატების საფუძველია". კომუნისტების თაოსნობით დისციპლინის საკითხზე ყურადღება გაამახვილა ქვეგანაყოფის კედლის გაზეთმაც. გაკრიტიკებულ იქნენ წესრიგის დამრღვევი მებრძოლები. ეს საკითხი გაირჩა ქვეგანაყოფის კომკავშირული ორგანიზაციის კრებაზეც. ყოველივე ამ ღონისძიებათა შედეგად დისციპლინა განმტკიცდა. ამ უკანასკნელ თვეს ქვეგანაყოფში არ ყოფილა წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. მადლობა კი რამდენიმე მებრძოლმა მიიღო.

ქვეგანაყოფში დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში ტარდებოდა არარეგულარულად. მეთაურთან ერთად ამ საკითხს ყურადღება მიაქცია პარტიულმა ორგანიზაციამაც. მთელ რიგ ღონისძიებათა შედეგად, ნაკლი გამოსწორებულ იქნა. ახლა ადგომის სიგნალის შემდეგ, ქვეგანაყოფის ეზო ერთბაშად ცოცხლდება, მებრძოლები ყაზარმიდან მწყობრი ნაბიჯებით მიდიან მოედნისაკენ. დილის სუფთა ჰაერზე მოხდენილად ასრულებენ ფიზკულტურულ ვარჯიშს, რომელსაც ფიზმომზადების ხელმძღვანელი ატარებს.

ქვეგანაყოფში დღის განაწესი ზუსტად სრულდება. მეცადინეობაც და დასვენებაც ისეა ორგანიზებული, რომ თვითეული მათგანი მებრძოლს რაც შეიძლება მეტ ცოდნასა და გამოცდილებას ჰმატებს.

**ეფრეიტორი ხ. ჭარღავა**

# ვსწავლობთ მოძრაობას აზიმუტის საშუალებით

ამას წინათ ჩვენს ქვეგანაყოფში ჩატარდა მეცადინეობა თემაზე: „მოძრაობა აზიმუტის საშუალებით და ადგილმდებარეობის თვალთახედვით გადალახვა".

ოფიცერმა ლიმოვმა გამოუძახა კურსანტ იხოტნიკოვს და უბრძანა წაეყვანა ოცეული ნ პუნქტში 265 აზიმუტით. ყველა ათეულს ჰქონდა კომპასი და ვამოწმებდით, თუ რამდენად სწორად მოძრაობდა იხოტნიკოვი. იხოტნიკოვმა ოცეული ნაჩვენები მიმართულებით სწორად წაიყვანა. ოფიცერმა ასეთივე ხასიათის ამოცანა დასვა თვითეულის წინაშე. იგი შეუდრეკლად გზადაგზა მიგვითითებდა და თანაც გვასწავლიდა როგორ მოვქცეულიყავით იმ შემთხვევაში, თუ დავკარგავდით უცნობ ადგილმდებარეობაში გზის გაგნებას.

მეორე საათი მიეძღვნა ვარჯიშს ადგილმდებარეობის ქაღალდზე გადატანაში. წინასწარი ახსნა-განმარტების შემდეგ, ჩვენ შევუდექით ადგილმდებარეობის გადახატვას. უმრავლესობამ ფრიადი და კარგი შეფასება მიიღო.

**კურსანტი ბ. ფოფხაძე**





ლეიტენანტ კოჭკამაძის ოცეულის მებრძოლები საიერიშო ზოლში დაბრკოლების გადალახვის დროს.
ფოტო ი. ავრუტინისა

# წითელარმიელი სამუშია—ოლქის ჩემპიონი 10 კილომეტრზე რბენაში

პარასკევს სპარტაკიადაზე სტარტი მიეცა 10.000 მეტრზე რბენას. გასულ სპარტაკიადაზე ასეთი დისტანცია არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის რეკორდი ამ დისტანციაზე რბენაში 1942 წელს მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა თედორე ვანინმა (მოსკოვი). მისი დრო—30 წუთი, 02,1 წამი.

სტადიონზე მაყურებელნი დაძაბულად ადევნებენ თვალყურს რბენის მსვლელობას. შეჯიბრების მონაწილეებმა 25 წრე უნდა გააკეთონ. წინ არის წითელარმიელი სამუშია (№ 11 სპორტკოლექტივი) იმ ნაწილიდან, სადაც ფიზმომზადების უფროსი კაპიტანი ანდრონიკაშვილია.

პირველ 800 მეტრს იგი გადის 2 წუთსა და 32 წამში. მორბენალთა პირველ რიგში კვლავ სამუშია, ვოდიანოვი (№ 10 სპორტკოლექტივი) და კოზლოვი (№ 3 სპორტკოლექტივი). ამხ. სამუშიასა და ვოდიანოვს შორის ჩაღდება დაძაბული ბრძოლა.

მეწინავე ამხ. სამუშიამ სამ კილომეტრიანი დისტანცია 10 წუთსა და 8 წამში დაფარა. მას მოჰყვება ამხ. ვოდიანოვი. სამუშია ერთი წრით წინ უსწრებს ჩამორჩენილ მორბენლებს. 4 კილომეტრს იგი გარბის 13 წუთსა და 40 წამში. ჯერ კიდევ 2½ წრეა შემოსავლელი, რომ დისტანციის ნახევარი იქნას დაფარული. მანძილი სამუშიასა და მის მეტოქეს შორის თანდათან დიდდება. ვოდიანოვი აძლიერებს სირბილის ტემპს, ცდილობს დაეწიოს ამხ. სამუშიას, მაგრამ უშედეგოდ.

6 კილომეტრი. ვოდიანოვი უფრო და უფრო ჩამორჩა მეწინავეს. შუალედი მათ შორის პირველად 50 მეტრია, შემდეგ 100... 150.

ამხ. კოზლოვი მესამეა. იგი ვოდიანოვს მიჰყვება კვალდაკვალ, მაგრამ მალე უსწრებს მას. ვოდიანოვი ტემპს აჩქარებს.

ამხ. სამუშიას დასაძლევი დარჩა 3 წრე—1.200 მეტრი. მან 9 კილომეტრი გაირბინა 31 წუთსა და 55 წამში. უკანასკნელ კილომეტრზე ვოდიანოვი მეორეა. იგი უფრო და უფრო სცილდება კოზლოვს. სამუშიამ გაირბინა უკანასკნელი წრე. იგი გამოვიდა პირდაპირ ხაზზე და ძალღონის დაძაბვით მიისწრაფვის ფინიშისაკენ, დისტანციას მეორე ჰფარავს ლეიტენანტი ვოდიანოვი, მესამე—უფროსი სერჟანტი კოზლოვი.

ამრიგად, წითელარმიელმა სამუშიამ მოიპოვა 1945 წლის ოლქის ჩემპიონის წოდება 10.000 მეტრზე რბენაში. მისი შედეგია 35 წუთი და 31,8 წამი.

**უფროსი ლეიტენანტი**
**გ. სტრელცოვი**

# სწორად გამოვიყენოთ იარაღი

## როგორ მოაწყო ურთიერთმოქმედება ათეულში სერჟანტმა ქ. ლბაქიანმა

ათეულის მეთაურის საცეცხლე საშუალებანი საკმაოდ ძლიერია: მარტო ერთი ხელის ტყვიამფრქვევით წუთში შეიძლება 80-მდე გასროლა მოვახდინოთ, შაშხანით კი 10-მდე გასროლა. და აი, იანგარიშეთ — წუთში რამდენი გასროლა შეიძლება მოახდინოს ერთმა ათეულმა. მაგრამ დიდი ეფექტი მხოლოდ მაშინ არის, როცა სწორად ხდება ამ ცეცხლის გამოყენება. ტყვიამფრქვევი განუწყვეტლივ ხომ არ იკაკანებს. მსროლელიც დაუმიზნებლად ხომ ვერ ისვრის. უნდა შეგვეძლოს ცეცხლის ყველა სახის შეთავსება, განსაკუთრებით შეტევის დროს. აქ, ათეულის ცეცხლთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ მეზობლის, მთელი ქვეგანაყოფის, არტილერიის ცეცხლიც. მოკლედ რომ ვთქვათ, ათეული თავისი ამოცანა წარმატებით შეუძლია შეასრულოს მხოლოდ მაშინ, როცა მეთაური სწორად აწყობს ურთიერთმოქმედებას თავის ათეულში, სწორად იყენებს სხვა საშუალებების, მეზობლების ცეცხლს.

ამ ჩვევების გამომუშავება ხდება ტაქტიკურ მეცადინეობაზე, სასწავლო სროლებზე. ჩვენს ქვეგანაყოფში, ამას წინათ, სამაგალითოდ ჩატარდა ტაქტიკური მეცადინეობა, სადაც გამოირჩეოდა სერჟანტი ქელბაქიანი, როგორც ათეულში ურთიერთმოქმედების კარგი ორგანიზატორი.

რაში მდგომარეობს ათეულში ურთიერთმოქმედების საფუძველი? პირველყოვლისა იმაში, რომ მეთაურმა შესძლოს გავლენა მოახდინოს ათეულის თვითეულ წითელარმიელზე ბრძოლის მსვლელობაში, ყურადღებიდან არ გამორჩეს მეზობლების მოქმედება, გამოიყენოს ადგილმდებარეობა, აწარმოოს ბრძოლის ველის განუწყვეტელი თვალთვალი, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებანი, ამასთან გამოიჩინოს ინიციატივა.

აღნიშნულ ტაქტიკურ მეცადინეობაზე სერჟანტ ქელბაქიანს გაუადვილდა ათეულის მართვა იმიტომ, რომ ათეულის მებრძოლები უკვე გავარჯიშებულნი იყვნენ, ტაქტიკურად სწორად მოქმედებდნენ. მას არ დასჭირებია შენიშვნა მიეცა ცალკეული მებრძოლებისათვის.

შეტევის წინ სერჟანტმა შეაფასა ადგილმდებარეობა. იგი ღია და ვაკე იყო. მაშასადამე, აქ საჭირო იყო სწრაფი და მოკლე გადარბენა. ქელბაქიანმა ჩაინიშნა შუალედი ზღუდეები.

ცეცხლი გახსნა ხელის ტყვიამფრქვევმა. ცეცხლის საფარს ქვეშ მსროლელებმა სწრაფად დაიწყეს გადარბენა. მიაღწიეს რა ზღუდეს, ისინი ჩაწვნენ. ამ დროს ათეულის მეთაურმა გამოუძახა ხელის მეტყვიამფრქვევეს.

„მოწინააღმდეგემ" ცეცხლი დაუშინა მეზობელ შემტევ ათეულებს. სერჟანტმა გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ მისი ათეული არ იყო გამოთოფილი და იგი უფრო წინ წაიწია. „მოწინააღმდეგის" საცეცხლე წერტი კვლავ არ იძლეოდა წინსვლის საშუალებას. ქელბაქიანმა უბრძანა ხელის მეტყვიამფრქვევეს „ჩაეხშო" საცეცხლე წერტი. „მოწინააღმდეგემ" შეანელა ცეცხლი. მთელმა ქვეგანაყოფმა სწრაფად მიაღწია ახალ ზღუდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შეტევის დროს სწორად განსაზღვრო ალმოჩენილი მიზნის მნიშვნელობა და ამასთან შეფარდებით დასვა ამოცანა მისი ჩახშობის შესახებ. თქვათ, ერთდროულად გამოჩნდა „მოწინააღმდეგის" ხელის ტყვიამფრქვევი და ქვეითთა დიდი ჯგუფი. რომელი მიზანი ჩავახშოთ პირველ რიგში? ათეულის მეთაურმა სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან წარმატება ამაზეა დამოკიდებული.

ასეთი მაგალითები მრავალი იყო მეცადინეობაზე და ქელბაქიანიც სწორ გადაწყვეტილებას იღებდა. იგი ხელის ტყვიამფრქვევს უსახავდა ამოცანას ჩაეხშო „მოწინააღმდეგის" წერტის ცეცხლი, ხოლო მსროლელებს — დაეშინათ ცეცხლი ქვეითებისათვის.

შემდეგ მეთაურს მიეცა ასეთი ჩართული ამოცანა: „მოწინააღმდეგის" ჯგუფმა ერთ ათეულამდე კონტრიერიში მიიტანა ქელბაქიანის ათეულზე ფლანგიდან. სერჟანტმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება — ზალპური ცეცხლით მოეგერიებინა კონტრიერიში. გადაწყვეტილება სწორი იყო.

ბრძოლაში აფეთქებისა და სროლის ძლიერი ხმაურის გამო, ხშირად შეუძლებელია ათეულის ხმით მართვა, თუმცა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ათეულის მართვის ეს მეთოდი გასაგები და მარტივია. ყოველ შემთხვევაში მეთაურს უნდა შეეძლოს თავისი მებრძოლების მოქმედების მართვა ნიშნებითაც. მეცადინეობაზე ჩვენ ამას ვასწავლით მეთაურებს. საწესდებო ნიშნები შეისწავლეს მებრძოლებმაც. ქელბაქიანი კარგად იყენებდა ნიშნებს ათეულის მართვისათვის, რაც საშუალებას აძლევდა სწორად მოეწყო ურთიერთმოქმედება ათეულში.

ოცეულის მეთაურმა მაღალი შეფასება მისცა სერჟანტ ქელბაქიანის მოქმედებას და მიუთითა დანარჩენებს მიებაძათ მისთვის.

**ზემდეგი დ. დოლონაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღლა გვეჭიროს წითელი არმიის მეომრის ღირსება და სახელი

მაიორი ნ. ბუდიანსკი

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისა და იაპონელ აგრესორების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა.

არასოდეს არ ჩაქრება სამამულო ომის გმირთა დიდება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში. საბჭოთა ადამიანები თაობიდან თაობას გადასცემენ ამბავს იმ მამაცობასა და გმირობაზე, რომლებიც გამოიჩინეს წითელი არმიის მეომრებმა ველურ ჰიტლერელთა ურდოებთან და იაპონელ სამურაებთან ბრძოლებში.

იბრძოდნენ რა საყვარელი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, წითელი არმიის მეომრებს მაღლა ეჭირათ მეომრული ღირსებისა და მეომრული სახელის დროშა. ისინი იბრძოდნენ ისე, როგორც ამას მოითხოვს სამხედრო ფიცი, როგორც ამას მოითხოვს სამშობლოს წინაშე მათი მეომრული მოვალეობა.

რით განისაზღვრება მებრძოლის მეომრული ღირსება?

წითელი არმიის მებრძოლის მეომრული ღირსება—ეს არის ადამიანის ზნეობრივი ღირსება, რაც განისაზღვრება მისი მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმით, საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებით, მის მიერ თავისი მეომრული მოვალეობის უმწიკვლო შესრულებით.

საბჭოთა მეომრის ღირსება განსაზღვრავს მისი მზადყოფნა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას მშობლიური მიწა-წყალი, დაიცვას მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამისათვის საჭიროა იგი დაეუფლოს ისეთ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა, მოხერხებულობა, დისციპლინიანობა, თავისი მეთაურის სიყვარული და მისდამი ერთგულება, ურთიერთდახმარების გრძნობა, მთელს თავის საქმიანობაში მოვალეობისადმი ერთგულება, პატიოსნება, მაღალი სიფხიზლე.

იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი მეომრული მოვალეობა, საბჭოთა მებრძოლმა კეთილსინდისიერად უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე და საფუძვლიანად დაეუფლოს ჩაბარებულ იარაღს. მან განუწყვეტლივ უნდა გააფართოვოს თავისი იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტი, იყოს შეგნებული, პოლიტიკურად განვითარებული მეომარი.

მეომრული მოვალეობის მოთხოვნები მოცემულია სამხედრო ფიცში, გენერალისიმუს სტალინის ბრძანებებში, წითელი არმიის წესდებებსა და დარიგებებში.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია უმაგალითო გმირობა 28 გვარდიელი პანფილოველისა, რომლებიც მოსკოვისათვის მძიმე და გადამწყვეტ ბრძოლებში მკერდით აღუდგნენ გერმანელთა სატანკო კოლონას, დაიღუპნენ, მაგრამ მტრის მანქანები არ გამოუშვეს მშობლიური დედაქალაქისაკენ. ყველასათვის ცნობილია სამამულო ომის გმირების მატროსოვის, სმირნოვის, გასტელოს და სხვათა საგმირო საქმენი. ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ერთეული როდია ასეთი გმირობა. ამ საგმირო საქმეებს ჩადიოდა ათასობით მებრძოლი, სერჟანტი და ოფიცერი. აი ერთი ასეთი სასახელო გმირობათაგანი.

ერთმა ჩვენმა გვარდიულმა ნაწილმა ღამის იერიშით დაიკავა მოწინააღმდეგის მიერ გამაგრებული მაღლობი. გერმანელები ებღაუჭებოდნენ მიწის ყოველ მტკაველს, მაგრამ მაინც უკან იხევდნენ, უცებ შორიდან მოისმა მოტორების გუგუნი. გერმანელების დასახმარებლად ტანკები მოდიოდნენ. გვარდიის რიგითმა მებრძოლმა ანიკინმა მოისაზრა, რომ გერმანელებს მხოლოდ ერთადერთი გზა ჰქონდათ... იგი გზისკენ გაიქცა და ჩაწვა ერთ-ერთ სანგარში. მალე გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ. ისინი კოლონებად მოდიოდნენ. დაახლოებით 30 ტანკი იყო. გვარდიელი მტრის ტანკებს გრანატებით შეხვდა. იგი აუღელვებლად ელოდებოდა, ვიდრე მის სანგართან ახლოს მოვიდოდა ტანკი და მხოლოდ მაშინ ესროდა ტანკსაწინააღმდეგო გრანატს. აფეთქების შემდეგ გადაიხრობოდა მეორე სანგარში. მამაცმა მეომარმა მტრის სამი ტანკი დააზიანა, დანარჩენები უკანვე გაბრუნდნენ. ამ საგმირო საქმისათვის ანიკინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

არასოდეს არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხი შორეულაღმოსავლეთელი მეომრის, ეფრეიტორ ვასილ კოლესნიკის გმირობას. მან 1945 წლის 12 აგვისტოს სურვილი განაცხადა მოესპო იაპონელთა ხანგრძლივი საცეცხლე წერტი, რომელიც ხელს უშლიდა ასეულის წინსვლას. მიაღწია რა ხანგრძლივ საცეცხლე წერტთან, მამაცმა მეომარმა ამბრაზურას ესროლა გრანატების კონა. ხანგრძლივი საცეცხლე წერტი მაინც განაგრძობდა ტყვიამფრქვევის ცეცხლის დაშენას. მაშინ კოლესნიკმა ამბრაზურა თავისი სხეულით დაახურა. თავიანთი ამხანაგის გმირობით აღფრთოვანებული მებრძოლები წინ წავიდნენ და მოსპეს მტერი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა.

შეიძლება მოვიყვანოთ ამგვარი ვაჟკაცობის მრავალი მაგალითი, რომლებიც საბჭოთა მეომრებმა გამოიჩინეს სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში.

1945 წლის 1 აპრილის მონაცემებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 8.204 კაცს, ხოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა რიცხვმა 7 მილიონს გადააჭარბა.

ბერლინისათვის და აგრეთვე იაპონელ სამურაებთან ბრძოლების შემდეგ ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, ბევრად გადიდდა.

წითელი არმიის მეომრები სავსებით შეგნებულად, თავიანთი მეომრული მოვალეობის შესრულების აუცილებლობის სრული გაგებით მიდიან გმირობის ჩასადენად. საბჭოთა გმირის ეს ბრწყინვალე თვისებანი შესანიშნავად გამოხატულია ოფიცერ მასლოვსკის მიერ შვილისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც მან დაწერა გმირობის ჩადენის წინ.

„...და აი, ჩემო საყვარელო შვილო, ჩვენ შეიძლება ერთმანეთი ვეღარ კი ვნახოთ. ერთი საათის წინ მე მივიღე დივიზიის მეთაურის დავალება, რომლის შესრულების შემდეგ ალბათ ცოცხალი ვერ დავბრუნდები. ჩემო პატარავ, შენ ეს ნუ შეგაშინებს. მე ვიღუპები, მაგრამ ამაყად მივდივარ სასიკვდილოდ. ყველას როდი ხვდება პატივი მოკვდეს სამშობლოსათვის, საყვარელი სტალინისათვის!...

ლენინის სახელოვან ქალაქს — რევოლუციის აკვანს საშიშროება ემუქრება. ჩემი დავალების შესრულებაზეა დამოკიდებული მისი შემდგომი კეთილდღეობა. ამ დიადი კეთილდღეობისათვის შევასრულებ დავალებას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე... რა ძალები მეხმარებიან მე ამ ვაჟკაცური საქმის ჩასადენად? მეომრული დისციპლინა და პარტიული შეგნებულობა. სწორად ამბობენ: ერთი ნაბიჯია დისციპლინიდან გმირობამდე. შვილო, სამუდამოდ დაიმახსოვრე ეს. ვიდრე დრო არის, უნდა მოვიხსნა კიტელიდან ორდენები, გვარდიული ჩვეულებისამებრ ვეამბორო მათ. გიამბობ რა ყოველივეს დაწვრილებით, მინდა იცოდე, თუ ვინ იყო მამაშენი, როგორ და რისთვის გაწირა სიცოცხლე. გაიზრდები, ყოველივეს გაიაზრებ, გაუფრთხილდები სამშობლოს. კარგია, ძალიან კარგი გაუფრთხილდე სამშობლოს!"

საბჭოთა მეომრის ღირსება და სახელი განუყოფლად დაკავშირებულია თავისი სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის სამსახურთან.

ამჟამად წითელი არმიის ჯარები იმყოფებიან ათზე მეტი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ჰიტლერელმა ნაბოლარებმა იციან, რომ საბჭოთა მეომრის სახელი და ღირსება წარმოადგენენ დიდ მიმზიდველ ძალას, რომლითაც წითელი არმია თავისკენ იზიდავს ათასობით მეგობარს. მტრები ყველა საშუალებით ცდილობენ გარეშემომყოფთა თვალში ჩირქი მოსცხონ საბჭოთა მებრძოლის სახელს, ზიანი მიაყენონ ჩვენს არმიას. ისინი იყენებენ ყველა საშუალებას, ყველაზე უფრო საზიზღარ ხრიკებს, რომ ავნონ წითელ არმიას. ერთ შემთხვევაში ისინი სწამლავენ ჭებს, მეორე შემთხვევაში — წითელარმიელის ფორმით გადაცმულნი ეწევიან ძარცვას, მესამე შემთხვევაში — აწყობენ ტერორისტულ თავდასხმებს წითელი არმიის ცალკეულ მებრძოლებსა და ოფიცრებზე. თავიანთ საზიზღარ მუშაობას აგრძელებენ აგრეთვე ჰიტლერული ჯაშუშის სახეშეცვლილი ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები.

იმისათვის, რომ დროულად გამოვამჟღავნოთ მტრის მზაკვრობა, საჭიროა ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში გამოვიჩინოთ მაღალი სიფხიზლე, არ დავუშვათ მავნე ლაყბობა და ზედმეტი ლაპარაკი, არ ვიაროთ ნებადაურთველ ადგილებში და არ გავებათ შემთხვევით ნაცნობობა. სამხედრო საიდუმლოების წმიდად დაცვა თითოეული მეომრის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

* * *

მეომრული მოვალეობის შესრულება ნიშნავს წითელი არმიის წესდებებისა და დარიგებების მოთხოვნებისა და შენი უფროსების ბრძანებათა შესრულებას. ამისათვის საჭიროა იყო დისციპლინირებული. ბრძანების შეუსრულებლობა შავი ლაქაა მებრძოლის მეომრული ღირსებისა და მეომრული სახელისათვის. დისციპლინა ეხმარება მეომარს შეასრულოს თავისი მეომრული მოვალეობა, უმწიკვლოდ დაიცვას თავისი მეომრული ღირსება.

დისციპლინირებული მებრძოლი არასოდეს არ ჩაიდენს დანაშაულს, რაც შეუთავსებელია მეომრული ღირსებისა და მეომრული მოვალეობის მცნებებთან.

დღის განწესის მტკიცედ დაცვა, სამწყობრო კომანდების ზუსტად შესრულება, ფორმის სწორად ტარება — ყოველივე ეს ემსახურება დისციპლინის განმტკიცებას წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებში. ეხმარება მათ ყველგან და ყველაფერში შეასრულონ მეომრული მოვალეობა.

ჯერ კიდევ ფრუნზე ამბობდა:

„შინაგანი შეგნებული დისციპლინა აუცილებლად უნდა გამოვლინდეს გარეგნულ წესრიგში".

საბჭოთა მებრძოლების ღირსებისა და სახელის შესახებ მსჯელობენ არა მარტო მათი საქმეებისა და მოქმედებათა მიხედვით, არამედ მათი გარეგნული შეხედულებითაც.

ჩვენმა პარტიამ, მთავრობამ და საბჭოთა ხალხმა უზრუნველჰყვეს წითელი არმია განსაკუთრებული ყურადღებით, სიყვარულითა და მზრუნველობით. წითელი არმიის მეომრებს აქვთ ყველა აუცილებელი მატერიალური და სულიერი საშუალებანი იმისათვის, რომ ისინი იყვნენ დისციპლინის, ტაქტის, კულტურის, ყოფაქცევის მაგალითი მწყობრში და მწყობრის გარეთ, ცხოვრებაში და სამსახურში.

ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ტარდება უდიდესი სერიოზული ღონისძიებანი წითელი არმიის განსაზღვრული ნაწილის დემობილიზაციისათვის ახლა ძირითადად დამთავრებულია უფროსი ასაკების დემობილიზაცია. ეს იყო დიდი ნაბიჯი ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლაში, მას შემდეგ, რაც მან მოიპოვა მსოფლიო ისტორიული გამარჯვება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულებით განსაზღვრულია წითელი არმიის პირადი შემადგენლობის მეორე რიგის დემობილიზაციის კონტინგენტი და ვადები. ჩვენმა სახელმწიფომ ამით გადადგა შემდგომი ნაბიჯი მშვიდობიან შრომაზე გადასასვლელად.

გამარჯვებულთა საპატიო და საამაყო გრძნობით აღვსილნი და სტალინური ზრუნვით გამთბარნი დემობილიზებულები ახლა მხედრული შრომიდან გადადიან მშვიდობიან შრომაზე. მათ აქვთ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ თავიანთი უნარი და ომამდელი პროფესია გამოიყენონ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში. ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი დემობილიზებულთა სახით მიიღებს სპეციალისტთა კადრების ღირსეულ შევსებას: მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, აგრონომებს, ექიმებს, საშუალო და დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებს და ა. შ.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ მეორე რიგის დემობილიზებული მეომრები, სტოვებენ რა თავიანთ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს და უბრუნდებიან მშვიდობიან შრომას, იქნებიან ისეთივე პატიოსანნი, ორგანიზებულნი და დისციპლინირებულნი, როგორიც იყვნენ წითელი არმიის რიგებში, როცა იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე. ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტსა და სასწავლებლებში მუშაობისას ისინი ისეთივე თავდადებითა და კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როგორც ასრულებდნენ მტრის შემოსევისაგან სამშობლოს დაცვის დროს.

## წითელარმიული შემოქმედება

### მამის პასუხი

ოთხი წლისა იყო ბავშვი,
სწერდნენ მამას და იმ წერილს
დაახატეს ხელი დაშნით,
მტარვალს სცემდა მისი წვერი.

ბავშვის მიერ ნაწერ ასოს
ემჩნეოდა სიტყვა მკრთალად
— დე მტარვალმაც იგემოსო
ამ პატარა ხელის ძალა.

წერილი რომ მამამ ნახა,
სიხარული იგრძნო წრფელი.
ალერსით და შვილის ნახატს
დაატოლა თვისი ხელი.

თან აკოცა რამდენჯერმე,
არ აკმარა მარტო მზერა.
ალერსით და ტრფობის მერე
შვილს პასუხი დაუწერა.

და ბარათზე ბავშვის ხელი
კვლავ დახატა მან ალერსით,
მაგრამ დაშნა ჩამოართვა
და წიგნები მისცა ხელში.

ასე სწერდა: ჩემი ხელიც
დაამიწებს კაცის მკვლელებს.
შენ რომ ახლა ისწავლიდე
იგი უფრო დაგამშვენებს.

კურსანტი შ. ლომსაძე

### ომში დაცემულ ვაჟკაცებს

თქვენ, ქართველო რაინდებო, მტერს ჰკაფავდით გამუდმებით,
ახლა როგორ დაგიჯეროთ, თუ ჩვენთან არ დაბრუნდებით.
დაცემულო ვაჟკაცებო, სიმშვიდე რომ ჩამომტანა,
ბედნიერი დღე გარშემო ყრიალით რომ ჩამომდგარა,
გვინდა თქვენი სახელების დროშებივით გამოტანა.
ჩვენ ვადიდებთ მას, ვინც ვისლა, ერთი მოსმით გადალახა,
დაიღუპა და თბილისის წყნარი მტკვარიც ვეღარ ნახა.
სადიდებლად ის დაგვრჩება, ვინც მტერს სუნთქვას არ აცლიდა,
დაიღუპა და მარჯვენა ხმლის ვადაზე დააცივდა,
ვინც კი სისხლი გაიმეტა სამშობლოსთვის დასაღვრელად,
თან სიცოცხლეც გაიმეტა და ამ ფიქრით დაიმედდა:—
„ჰე, მამულო შენი დროშა არ მინდოდა დასაჩრდილად,
ვიცი მივალ, და ამ დროსაც, უკვდავების შუქი მმოსავს
იტყვიან რომ,—ჰქუხდა მარად, ერთმა ახი გადათელა,
დაეცა და მშობლიური საქართველო ასახელა".

წითელარმიელი ბ. ლუტიძე

* * *

დღე დაგიღამდა, დაეშვა ფარდა.
არც გვარი დარჩა და არც სახელი.
ისე დაეცი მოსკოვის კართან
უკანასკნელი თვალის გახელით,
რომ დაბადებას სიკვდილი ჰგავდა,
რომ გაამართლე ანდერძი ძველი.
შენი მხაზველი დახრიდა თავს და
იტყოდა: იყო გმირი ქართველი.
ტარიელივით იბრძოდი ალბათ,
წინ გედგა დღის წმინდა მანდილი.

გამოგათხოვეს სიცოცხლეს, მაგრამ
გამარჯვებული გნახე ამ დილით.
გაივლის დრო და უკანასკნელი
გასროლის შემდეგ შენი ტოლები
დაბრუნდებიან საქართველოში,
შენ კი მათ გვერდით არ ეყოლები.
იტყვიან მაშინ: სახალხო გმირად
გახსოვთ, დაეცა მოსკოვის კართან...
და თუ სამშობლოს თავი შესწირა
ვინ იქნებოდა იგი შენს გარდა.

ქ. კენიგსბერგი.

კაპიტანი ბ. ბიორბაძე.



ხურათზე: გორის რაიონის სოფელ ზემდუცლეთის კოლმეურნეობა „მეურნის" სტახანოველები გ. თარაშვილი და ვ. ცერცვაძე ათვალიერებენ მათ ნაკვეთზე მოყვანილ შაქრის ჭარხალს.

ფოტო რ. აკოფოვისა

### მოლივლივე ზღვის პირას

მაგნოლიები, ფინიკური პალმები, დაფნა, მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები, თაიოფური ვაზი, კამელიები... მოლივლივე პატარა ტბა და თვალუწვდენი ზღვა. ნამდვილი ედემი! აქ არის ლ. პ. ბერიას სახელობის ბათუმის პიონერთა კულტურისა და დასვენების პარკი.

ცხრათვალა მზის სხივებით განათებულ ხეივნებს სიცოცხლითა და მხიარულებით ავსებს ბათუმელ პიონერ-მოსწავლეთა ჟრიამული.

ბავშვები უსაზღვრო სიყვარულით შესცქერიან ლენინისა და სტალინის პორტრეტებს. ამ დიდმა ადამიანებმა შექმნეს მათი ბედნიერი ცხოვრება. შეხედეთ, როგორ ფართოდ გაუშლია ტოტები 85 წლის პალმას! აქ მოწყობილია საბჭოთა კავშირის მარშლების სურათების გალერეა.

ტიტაკურიცნილ ვებერთელა ხის ქვეშ მოწყობილია პავილიონი, სადაც ბავშვები თამაშობენ ჭადრაკსა და შაშს, კითხულობენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, აწყობენ ლიტერატურულ დილებს, კითხულობენ საკუთარ ლექსებს. ამ პავილიონის ხშირი სტუმრები არიან შესანიშნავი ნორჩი მოქანდაკეები გივი მაღაზონია და ფრედერიკ კარაპეტოვი, ლიტერატურის მოყვარული ლიანა ქაქელიძე, როზა კობერიძე და მრავალი სხვა.

ფრენბურთელთა და კალათბურთელთა მოედნებზე ელვის სისწრაფით სერავენ სივრცეს მონდომებითა და ზუსტად ნატყორცნი ბურთი — ბავშვები თავგამოდებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ტბის ზედაპირზე მარდად დასრიალებენ მომავალი მეზღვაურებით სავსე კანჯოები და ნავები. გუგუნებს მოტორიანი ნავი. პარკის „ფლოტი" 15 ნავისაგან შედგება.

აქვე, თვალწარმტაცი მცენარეებითა და ყვავილებით აყვავებული ორანჟერეა. გატაცებით ფუსფუსობენ ნორჩი ნატურალისტები უცხოური მცენარეთა აღმოცენებასა და ზრდას, ახდენენ დაკვირვებებს, ცდებს. არჩევენ ვი, ფარშევანგი, თუთიყუშები, დედალთევზი, დათუნები, ირმები, მაიმუნები—ეს ზოო-კუთხე, განსაკუთრებული შურენაელობის საგანია დათუნები, რომლებსაც ნორჩი ნატურალისტები ზრდიან.

შესანიშნავად არის მოწყობილი სკოლამდელ ბავშვთა დასვენება. წარმატებით მუშაობს რადიოსადგური, რომელსაც ამუშავებენ თვით ბავშვები რადიოტექნიკოს მუხიგიანის ხელმძღვანელობით.

გასულ წელს სამკურნალო მცენარეთა შეგროვებაში წარმატების მოპოვებისათვის პარკი დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით. ახლაც თავგამოდებით აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს ნორჩი ნატურალისტები და თემურელთა გუნდი. მათი სურვილია კვლავაც გამარჯვებული გამოვიდნენ ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმიანობაში.

დ. შარაშიძე.

### სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები ლენინგრადს დააბრუნეს

**ლენინგრადი,** 4 ოქტომბერი. (საქტასი). აქ მოიტანეს სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები, რომლებიც 1941 წელს ქალაქ მოლოტოვში იყო ევაკუირებული. მოიტანეს პირველი 650 ყუთი, რომლებშიც მოთავსებულია უნიკალური ხელნაწერი წიგნები, „როსიკის" სპეციალური ფონდის ნაწილი, ინკუნაბულები, XVIII საუკუნის ილუსტრირებული იშვიათი გამოცემები, გეოგრაფიული განყოფილების ბიბლიოთეკის ნაწილი, ქართული ხელნაწერები, იშვიათი კოლექციები. ახლო მომავალში მოიტანენ კიდევ ბიბლიოთეკის 15 ვაგონ ძვირფას წიგნებს.

## საზღვარგარეთ

### ამერიკის კონგრესის წევრ კოფის გამოსვლა

**ვაშინგტონი,** 6 ოქტომბერი. (საქტასი). კონგრესის წევრმა დემოკრატმა კოფიმ წარმომადგენელთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ იგი დაისჯება მოითხოვს საერთაშორისო კარტელების მონაწილეთა, როგორც ომის დამნაშავეთა დასჯას. კოფიმ სთქვა, რომ ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში ვერ მოექცეოდა კარტელების მონაწილეთა დაუხმარებლად. კოფის სიტყვით, კარტელების მონაწილეთა ბრალეული არის მიზეზი იმ ამნეულობისა და უბედურობისა, რაც გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს არგენტინის შეჭრის დროს მოხდა. კარტელების მონაწილეებს ეკისრებათ აგრეთვე პასუხისმგებლობა გერმანიის ამერიკის ოკუპაციის ზონაში ზოგიერთი შემაშფოთებელი ამბისათვის.

კოფი დაჟინებით მოითხოვდა, რათა პასუხისგებაში მიეცათ „ი. გ. ფარბენინდუსტრი" იმისათვის, რომ ეს კონცერნი „მრავალი წლის განმავლობაში მონაწილეობდა გერმანულ შეთქმულებაში შეერთებული შტატების მთავრობის საქმიანობაში ჩასარევად".

### სალაში და ათი სხვა სამხედრო დამნაშავე ბუდაპეშტს ჩაიყვანეს

**ბუდაპეშტი,** 5 ოქტომბერი. (საქტასი). ზალცბურგიდან აქ თვითმფრინავით ჩამოიყვანეს მოკავშირეთა ჯარების მიერ დაპატიმრებული უნგრეთის ყოფილი „პრემიერი" სალაში და ათი სხვა დიდი სამხედრო დამნაშავე, მათ შორის ბარდოში, იმრედი, ბარაში, რაინიში-შნეიდერი, ლუქაჩი და სხვები. დამნაშავეებთან ერთად ჩამოტანილია დოკუმენტები, რომლებიც მათს გამცემლურ საქმიანობას ახასიათებენ.

როგორც გაზეთი „საბად ნეპი" იუწყება, უნგრეთის სახალხო სასამართლო, როგორც მოსალოდნელია, ოქტომბრის დამლევს გაასამართლებს.

იმავე გაზეთის ცნობით, ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი უნგრეთის ხელისუფლებს გადასცემენ კიდევ 546 სამხედრო დამნაშავეს, როგორც კი სატრანსპორტო შესაძლებლობა იქნება.

# საქართველოს ნავთობის მრეწველობა მეოთხე ხუთწლედში

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში საქართველოს ნავთობის მრეწველობის მძაფრი განვითარების შესანიშნავ სურათებს გვიხატავს ახალი ხუთწლიანი გეგმის წინასწარი მონაცემები.

ნავთობის დღე-ღამეში მოპოვება 1950 წელს ათჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე დღე-ღამის მოპოვება 1945 წელს, ხოლო ექვსჯერ მეტი ომამდელ დონეზე. ნავთობის რაოდენობა, რომელსაც 5 წლის შემდეგ მოიპოვებენ, უზრუნველყოფს საქართველოს მთელ მოთხოვნილებას თხევად საწვავში.

ნავთობის მოპოვების ეს ზრდა უზრუნველყოფილი იქნება ნავთობის ახალი მძლავრი ფართობების ექსპლოატაციით. ოთხი ფართობი, რომლებზეც ამჟამად მიმდინარეობს ღრმა და კრელიუსური საძიებო ბურღვა, ახალი ხუთწლედის ბოლოს ჩადგება ამუშავებულ ჭაბურღილების მწყობრში.

შემდგომი კვლევისათვის მზადდება 10 ახალი ფართობი, რომლებზეც წინასწარი გეოლოგიური საძიებო სამუშაოებით აღმოჩენილია ნავთობიანი სტრუქტურები. საძიებო სამუშაოები ჩატარდება კახეთის, ქართლის, გურიის რაიონებში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში და სხვ.

მომავალი წლიდან გაიშლება საცდელ-საექსპლოატაციო სამუშაოები სუფსის ნავთობის საბადოებზე.

მეოთხე ხუთწლედში მწყობრში ჩადგება საქართველოში პირველი კრეკინგ-ქარხანა. ამ საწარმოს ამუშავება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნავთობის დამუშავების ხარისხს, მრავალჯერ გაადიდებს ბენზინის, ნავთის, ლიგროინის, სოლიარის ზეთის, ავტოლისა და ნავთობის სხვა ძვირფასი პროდუქტების გამოშვებას.

დიდი ამოცანები დგას საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკთა წინაშე ნავთობაირის მოპოვების გაფართოებისა და მისი საწარმოო და კომუნალური მიზნებისათვის გამოყენების საქმეში.

დღემდე საქართველოში ძვირფასი ნავთობაირის მოპოვება სწარმოებს ძლიერ მცირე რაოდენობით. ეს აირი წარმატებით გამოიყენება აირმოტორების ასამუშავებლად. ამ აირმოტორებს კი იყენებენ ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოტუმბვისათვის და აგრეთვე ნავთობის სარეწებზე შენობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა გასათბობად.

საქართველოს საბადოების აირსიმდიდრეთა უფრო სრული გამოყენება დაიწყება მხოლოდ მათი დეტალური შესწავლის შემდეგ, რასაც ითვალისწინებს ახალი ხუთწლიანი გეგმა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკების მუშაობას უახლოეს ხუთწლედში ქ. თბილისის სახლების, დაწესებულებებისა და საწარმოების გაზიფიკაციის პრობლემაზე.

საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად, მოუხდებათ მუშაობა ისეთ დიდ პრობლემაზე, როგორიცაა ნავთობისა და ქვანახშირის აირების კომბინირებული გამოყენებით ზამთრობით ციტრუსების პლანტაციების გათბობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ძვირფას ციტრუსების ნარგავთა ათასობით ჰექტარს დაიცავს ყინვებისაგან, მრავალ გაამართლებს ზამთრობით მათი მოვლის საქმეს.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მნიშვნელოვნად განვითარდება ნავთობის სარეწებზე კაპიტალური საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მწყობრში ჩადგება ათეულობით კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნავთობის მოპოვებისა და ნავთობის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთათვის, აგრეთვე ის შენობები, რომლებშიც მოთავსდება საბავშვო ბაღები და ბაგები, კლუბები, კინოები, მაღაზიები, პოლიკლინიკები და ა. შ.

პ/მგ. რედაქტორი ა. მურაშოვი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილის მ/ა.
აკ. სურგულაძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 7